საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკნაძე ალექსანდრე ბიჭიკოს ძე

კიკნაძე ალექსანდრე ბიჭიკოს ძე (დ. 24. II. 1969, სოფ. წითელხევი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი), ბრიგადის გენერალი (2019), დაამთავრა ქ. სანქტ-პეტერბურგის უმაღლესი სამხ.-პოლიტ. სასწავლებელი (1991), უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემია (2002), აშშ „არმიის ომის კოლეჯის“ კურსი (2018). 1991-იდან ეკავა სხვადასხვა სამეთაურო და ადმ. თანამდებობა საქართ. ეროვნ. გვარდიაში, საქართვ. შსს შინაგან ჯარებში, საქართვ. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღ. ძალებში. 2004–05 იყო სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობის მეთაური ცხინვალის რეგიონში, 2005–06 – ეროვნ. სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ მეთაური, 2005 – საქართვ. შეიარაღ. ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე, 2007–08 – III ქვეითი ბრიგადის მეთაურის მოადგილე ერაყში, 2008–09 წვრთნებისა და სამხ. განათლების სარდლობის შტაბის უფროსი, 2009 – სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე, 2009–10 – ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შტაბის უფროსი, 2010–11 წვრთნებისა და სამხ. განათლების სარდლის მოადგილე. 2012–13, 2015–16 – ავღანეთში საქართვ. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობის მეთაური, 2013–15 – აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, 2018 – გენშტაბის პერსონალის დეპარტამენტის უფროსი. 2018–20 – საქართვ. თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალი. 2020-იდან – სამხედრო ატაშე შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის სამეფოებში.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2004), ღირსების ორდენით (2012) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით (2013).

ლ. დოლიძე